ხაშურის მოამბე

№24 (55) 27 ივნისი, ორშაბათი, 2016 წელი

თაობების ოცნება რეალობად იქცა

ის, რაზეც თაობები ოცნებობდნენ, უკვე რეალობად იქცა. ხაშურში დაიწყო სასპორტო კომპლექსის მშენებლობა, რომელიც დასრულების შემდეგ, ქვეყნის რეგიონების ცენტრებში არსებულ სასპორტო კომპლექსებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. ამ დღეებში მშენებლობა შიდა ქართლის გუბერნატორის

მოვალეობის შემსრულებელმა იოსებ ოქრომელიძემ, გუბერნატორის მოადგილემ ამირან შავშიაშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა დაათვალიერეს.

სპორტკომპლექსის ტერიტორია მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა ნაგავსაყრელად და მას სხვა დანიშნულება არ გააჩნდა. ამ მასშტაბური პროექტის ფარგლებში კი მივიღებთ 600 კაციან საშეჯიბრო, საჭიდაო, სატრენაჟორო დარბაზებს. ამასთანავე იქნება სასტუმრო, კვების ბლოკი. შესაბამისად, ეს იქნება სრული კომპლექსი იმისათვის, რომ მივიღოთ ნებისმიერ სახის სპორტული შეკრება ადგილობრივ თუ რეგიონალურ დონეზე. გარდა ამისა, კეთილმოწყობა ეზოს მიმდებარე ტერიტორია, სადაც დაიგება 2000 მ2-ზე მეტი ხელოვნური საფარი. სპორტკომპლექსს აგრეთვე ექნება საკუთარი ავტოსადგომი.

სოფლებში სამართლებრივი და პიროვნული განვითარების ტრენინგები იწყება

სამართლებრივი და პიროვნული განვითარების ტრენინგების გავლა 1 ივლისიდან საქართველოს 8 რეგიონში იქნება შესაძლებელი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის ახალი პროექტი - „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე საქართველოს 33 სოფელში იწყებს ტრენინგების უფასოდ ჩატარებას. სამართლებრივი და პიროვნული განვითარების ტრენინგები სოფლების საზოგადოებრივ ცენტრებში გაიმართება და მათი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება,რეგიონის მცხოვრებთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

სატრენინგო თემები შერჩეულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით და ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, რათა სოფლის მკვიდრებმა უკეთ ისარგებლონ საკუთარი უფლებებით და სახელმწიფო სერვისებით, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ პროცესებში.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია 18-65 წლის ასაკის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს ინფორმაცია საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და დაინტერესებულია სოციალური უნარების განვითარებით.

სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გაიაროთ რეგისტრაცია 1 ივლისამდე სოფლებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ან ვებგვერდზე tcj.gov.ge . ტრენინგების ბოლოს გაიცემა სერტიფიკატები.

ტრენინგების თემებია: სამართალი და ადამიანის უფლებები, კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა, საკუთრების უფლება, სამეწარმეო და საგადასახადო სამართლის საბაზისო ცნებები, რა არის ევროკავშირი, რა არის დისკრიმინაცია, ეფექტიანი კომუნიკაცია, კონფლიქტის მართვა, დროის მართვა, პროექტის მართვა და პროექტი წერა.

საატესტატო გამოცდები წარმატებით დაიძლია

სატესტატო გამოცდების შემოღების გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ 2010 წელს მიიღო, ხოლო ტესტირების შინაარსობრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარის მომზადება და შემდგომ განხორციელება გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაევალა. 2011 წლის 23 მაისს კი ქვეყანაში პირველი, კომპიუტერზე ადაპტირებული გამოსაშვები გამოცდები ხარვეზების გარეშე ჩატარდა. 2013 წლიდან კი გამოცდები ორ ეტაპად მე-11 და მე-12 კლასებში ტარდება.

წელს, 47 ათასი მოსწავლე იყო დარეგისტრირებული. მათგან ნაწილს მხოლოდ ატესტატის აღება უნდოდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კი 41 600 აპირებდა გასვლას, თუმცა, საბოლოო შედეგების მიხედვით, გამოცდებზე დაახლოებით 38 ათასი აბიტურიენტი გავა. 87%-ია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც მათემატიკაში გადალახეს ბარიერი, 97% - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 96% - ისტორიაში, დაახლოებით 86%-ია უცხო ენაში.

წელს, საატესტატო გამოცდებში ჩვენი რაიონის მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობს, შესაბამისად, არსებული შედეგების გაცნობის მიზნით კომენტარის გაკეთება ხაშურის რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს **ზვიად გოგუაძეს** ვთხოვეთ – წინა წელთან შედარებით გამოცდებში ჩაჭრილთა რიცხვი მხოლოდ 3% გაიზარდა და ეს პროცენტი, ძირითადად, მათემატიკასა და უცხო ენაში მოდის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არცერთ საგანში, არცერთი კითხვა არ იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიღმა, ე.წ. კლასგარეშე, შესაბამისად ბავშვები ტესტების სირთულეს არ უჩიოდნენ, 50 განცხადება იყო ქულების დამრგვალებასთან დაკავაშირებით, პროცედურილი საკითხები საჩივრდება იმავე დღეს სკოლაში და არც ამის პრეცენდენტი მომხდარა, რადგან სისტემა იყო სრულებით გამართული. არ საჩივრდება ასევე თავად ტესტებიც, რადგან, აღნიშნული უკვე ადაპტირებულია და შეცდომის ალბათობა ნულის ტოლია,–აღიშნა ჩვენთან საუბარში ბატონმა ზვიადმა.

ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა მოქმედებას იწყებს

საქართველოს მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ იწყება. „სტარტაპ საქართველოს“ დაწყების მიზანია, მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებს, რომლებსაც აქამდე ფინანსური რესურსის არქონის გამო არ შეეძლოთ ბიზნესის დაწყება, მიეცეთ უნიკალური შანსი, განახორციელონ თავიანთი ბიზნესიდეები და დაიწყონ საკუთარი ბიზნესი.

პროგრამის განხორციელების შედეგად, ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთება ამაღლდება, დაიწყება მრავალი ახალი ბიზნესი, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და მოსახლეობას საკუთარი შემოსავლის წყარო გაუჩნდება.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფო 11 მილიონ ლარს გამოყოფს, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები დაფინანსდება. სამომავლოდ, უფრო მეტი სტარტაპის დაფინანსების მიზნით, პროგრამის ბიუჯეტი, შესაძლოა, 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს.

პროგრამის კოორდინატორები არიან საპარტნიორო ფონდი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

პროგრამის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე პირი ან პირთა ჯგუფი, ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული, პერსპექტიული და მდგრადი ბიზნესწინადადება და მისი განხორციელებისთვის საწყისი დაფინანსება სჭირდება.

განაცხადების მიღება 2016 წლის 17 ივნისიდან, 31 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. განაცხადის ფორმა, შევსების წესი და პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება სპეციალურად შექმნილ ინტერნეტ გვერდზე წწწ.სტარტუპ.გოვ.გე. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს ასევე მოემსახურებიან ტექნოლოგიური პარკის შენობაში, სადაც განთავსდება პროგრამის front-ofisi და დაინტერესებული პირები ერთი ფანჯრის პრინციპით ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ პროგრამის შესახებ. მსურველების უკეთ ინფორმირებისთვის ასევე ამოქმედდება სატელეფონო ცხელი ხაზი. პროექტები კონკურსის წესით შეირჩევა.

ვაჟა შუბითიძე

ევროკავშირის შექმნის სათავეებთან ქართველებიც იდგნენ

ეს წერილი სპეციალურად იწერება ქართველ დიპლომატებისთვის, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისთვის, საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების ელჩებისთვის, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ ევროკავშირის შექმნის სათავეებთან ქართველებიც იდგნენ.

დღეს, როცა ზოგიერთი ქვეყანა ჩვენ გვამადლის ვიზალიბერალიზაციის მოცემას (რაც შარშან გაიმეტეს ნაურუსთვის და სხვა ჩამორჩენილი რამდენიმე ქვეყნისთვის) და ამასაც გვიფერხებენ, შინაურმაც და გარეულმაც კარგად უნდა იცოდეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი.

პირველი ის, რომ ცნობილმა ქართველმა ემიგრანტებმა ჯერ კიდევ 1953 წლის 10 აგვისტოს (ანუ ჯერ კიდევ 63 წლის წინ) ოფიციალურად დაარსეს „ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხაკო წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი იყო პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი.

მეორე ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანამედროვე ევროინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბებში და განხორციელებაში ჟან მონესა და რობერტ შუ-

მანთან ერთად საპატიო ადგილი უკავია ორ ქართველ ემიგრანტ - მკვლევარს, პროფესორებს მიხეილ მუსხელიშვილსა (1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძეს (1901-1981).

პროფესორმა ილია ტაბაღუამ მიხეილ მუსხელიშვილს (ევროპაში მას იცნობდნენ როგორც მიხეილ მუსხელს) „ერთიანი ევროპის“ სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი უწოდა. მიხეილი დაიბადა 1903 წელს თბილისში ცნობილი თვალის ექიმის ვახტანგ მუსხელიშვილის ოჯახში, თავის 3 ძმასთან (ლევანი, გიორგი, სოლომონი) დაამთავრა ლევანდოვსკის გიმნაზია და ოთხივე საზღვარგარეთ სასწავლებლად წავიდნენ. 1932-1933 წლებში იგი უკვე ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში. 1935-1948 წლებში მიხეილი მუშაობდა ქაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორად. ამის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში და 1948-1964 წლებში, სიცოცხლის ბოლომდე იყო სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი. მიხეილ მუსხელიშვილი ევროპაში ეწეოდა ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1948 წელს იგი გახდა საუნივერსიტეტთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელი, ხოლო 1954 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი. ევროპის ამჟამინდელ პოლიტიკურ ცენტრში - სტრასბურგში მიხეილმა შექმნა ძალიან ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულება „მუსხელის ცენტრი“, რომელიც იკვლევდა ევროინტეგრაციის საკითხებს, სწავლობდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო სამართლის კუთხით. ამ ცენტრში მან დაარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ჟორჟ კედელი, რობბერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვები. პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის 2 დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა. ორივე ტომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საერთაშორისო იურიდიულ მეცნიერებათა სამყაროში, ასევე პრესაში(„-ფიგარო“, 2.03.1965) მიხეილ მუსხელიშვილის სტატიები იბეჭდებოდა ცნობილ ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მისი სტატიები ქვეყნდებოდა ასევე პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (მაგ. „საქართველო და ევროპა“, 15 1953, გვ. 1-3 „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, 18, 1954, გვ.15-16 (საინტერესოა, რომ მან ფრანგულ ჟურნალში „მონდ ნუვო“, 89-90 , 1955, დაბეჭდა სტატია სათაურით „საბჭოთა კავშირი და ევროპა“, სადაც ამტკიცებს, რომ რუსეთი არ არის ევროპა).

სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერს ლექციების წასაკითხად ხშირად იწვევდნენ აშშ-ში, ნორვეგიაში, იტალიაში. ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ს მე-17 ნომერში ვკითხულობთ, რომ მიხეილ მუსხელიშვილმა 1954 წელს მოხსენება წაიკითხა ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში: უნივერსიტეტში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში მის მოხსენებაზე მთელი დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრები მივიდნენ. ამერიკიდან დაბრუნებისთანავე პროფესორი მუსხელიშვილი სკანდინავიაში გაემგზავრა ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით, სადაც მოხსენება წაიკითხა ევროპის ცივილიზაციის კრიზისზე და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობაზე. მიხეილ მუსხელი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ომის შემდგომი ევროპის გაერთიანების, მისი ფედერაციის იდეა წამოაყენა და დაიცვა (რომელმაც დღეისათვის ევროკავშირის სახე მიიღო). მისი აზრით, ევროპული ფედერალიზმი - ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია (იხ.: მისი ნაშრომი „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“).

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის კონგრესის, ერთიანი ევროპის შექმნის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ კომიტეტის წევრი, ევროპის ერთიანობის საერთაშორისო ცენტრის ბიუროს ვიცე- პრეზიდენტი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის“ წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირება“ რედაქციის კომიტეტის წევრი. 1953 წლის 10 აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა “ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხაკო წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი ასევე მიხეილ მუსხელიშვილი იყო.

მკვლევარი არ კმაყოფილდებოდა წმინდა იურიდიული მეცნიერებით და აქტიურად ჩაერთო ცოცხალ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, იყო ადამიანისა და ერის უფლებების მგზნებარე დამცველი, საქართველოს ქომაგი. ასეთი დიდი ენერგიისა და გაქანების კაცს გაგიჟებით იტაცებდა ალპინისტობა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა ბოლოს. 1964 წელს იტალიაში, აოსტას ხეობაში იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა (5 წლის მერე იტალიაში იგივე ბედი ეწია ლეგენდარულ მთასვლელს, 37 წლის მიხეილ ხერგიანს). მის დაკრძალვას მთელი სტრასბურგის უნივერსიტეტი დაესწრო. სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა ა. ვიელმა, დეკანმა რაუერმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლ მოდინმა. დიდი მეცნიერი დაკრძალულია სტრასბურგის სასაფლაოზე და დღემდე უყურადღებოდაა მიტოვებული თანამემამულეებისაგან.

სტატიაში „საქართველო და ევროპა“, 1953 წელს მიხეილ მუსხელიშვილი წერს, რომ საჭიროა დღესვე ვიფიქროთ იმ ადგილზე, რომელსაც თავისუფალი საქართველო დაიკავებს ხვალინდელ მსოფლიოში . . . მეორე მსოფლიო ომმა საბოლოოდ დაასრულა ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ეპოქა (ამას მივუმატოთ დღევანდელი გლობალიზაციის მიერ შექმნილი პრობლემებიც - ვ. შ.) მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ მოხდენილმა გრანდიოზულმა პროგრესმა შექმნა ისეთი ვითარება, რომელშიც მხოლოდ დიდი პოლიტიკურ გაერთიანებებს შეუძლიათ არსებობა ... რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შექმნის შემდეგ საქართველოს ჰყავს საშიში მეზობელი, რომლისთვისაც საქართველო ყოველთვის მაცდუნებელი ნადავლი იქნება. როგორ შეუძლია მას გარანტირებული იყოს რუსეთის იმპერიალიზმის საშიშროებისაგან? ამის შემდეგ ქართველი ხალხი იძულებული არჩევანის წინაშეა: ან იგი იძულებული იქნება რუსეთს შეუერთდეს, ან კიდევ კავშირები ეძებოს. სიმართლე რომ ვთქვა, მას არა აქვს არჩევანი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო ახლოსაა ევროპასთან და უცხოა რუსეთისათვის.

შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს არ დათანხმდება რუსეთთან შეერთებაზე. საქართველო, რუსეთისაგან განსხვავებით ევროპულია. ცნობილი არქეოლოგების აზრით, სწორედ აქ იწყება ევროპა. სინამდვილეში - ეს საქართველოდანაა, გვეუბნება ბატონი ვარანიაკი, - რომ დაიძრა ემიგრაციის პირველი ტალღა ევროპისაკენ. მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოს და საბერძნეთს შორის. პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა და უკვე I საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა შემოიჭრა, რომელმაც III საუკუნის დასაწყისიდან მთელი საქართველო მოიცვა. ამრიგად, დასავლეთის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე საქართველო მასში მონაწილეობდა. და დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მზერა ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისაკენ, სანამ იგი რუსეთში არ დაიპყრო.

იყო პერიოდი, როცა ქართველებმა შეიგნეს, რომ ისინი ევროპას მიეკუთვნებიან. ევროპა ახლა აკეთებს ამ დასკვნას. ასევე აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და მიაღებინონ საქართველო ევროპულ ოჯახში ... მხოლოდ ევროპის თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ასოციაციაში გაწევრიანების შემდეგ შესძლებს ქართველი ერი დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, თავისი კულტურა და თავისი ტრადიციები და თავი დააღწიოს გიგანტურ რუსულ-აზიურ იმპერიაში შთანთქმის საშიშროებას“

(მ. მუსხელიშვილი)

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის, ქართულ-ევროპული პარალელების ძიების და „ევროპოლოგიის“, როგორც სამეცნიერო ინტერ-დისციპლინარული დარგის, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა ემიგრანტმა- მეცნიერმა, პროფესორმა ალექსანდრე ნიკურაძემ. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ნიკურაძე თავის უფროს ძმასთან, ივანესთან (შემდეგში გერმანიაში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილი ჰიდრავლიკოსი, თეორიული მექანიკის პროფესორი) ერთად ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მალე ნიჭიერი ძმები ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით სასწავლებლად გაგზავნეს გერმანიაში, სადაც მათ დიდი სახელი მოიხვეჭეს.

1930 წლიდან ალექსანდრე ნიკურაძე მუშაობდა მიუნჰენისა და ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. 1934 წელს ბერლინში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მისი გახმაურებული მონოგრაფია “თხევა

(გაგრძელება III გვერდზე)

ევროკავშირის შექმნის სათავეებთან ქართველებიც იდგნენ

(დასასრული)

დი დიელექტრიკები“,რომლის რუსული თარგმანი 1936 წელს გამოიცა მოსკოვში (მანამდე ასეთი წიგნი რუსებს არ ჰქონდათ).

თავისი ძირითადი სპეციალობის გარდა (მუშაობდა მყარი სხეულების ფიზიკაში და ენერგეტიკაში, ბოლოს განაგებდა საკუთარ ინსტიტუტს მიუნჰენში ამ სფეროში). ალექსანდრე ნიკურაძე გატაცებული იყო პოლიტიკით და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებით, კერძოდ, გეოპოლიტიკით, ისტორიით, არქეოლოგიით, ლიტერატურით და ა. შ.

სამშობლოს მძიმე მდგომარეობით ღრმად შეწუხებულმა ალექსანდრეჰმ გადაწყვიტა თანამშრომლობა დაეწყო გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან,რათა გერმანიის დახმარებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. მას ახლო კავშირი ჰქონდა ალფრედ როზენბერგთან, რომლის შეხედულებები კავკასიის მოვლენების მიმართ ემყარებოდა ალექსანდრე ნიკურაძის გავლენას. როზენბერგი ლობირებდა დამოუკიდებელ საქართველოს და ანტისაბჭოთა შეხედულებებით გამსჭვალულ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს გერმანიის მხარდაჭერას ჰპირდებოდა. ცნობილი გეოპოლიტიკოსის კარლ ჰაუსჰოფერის „ფართო სივრცეების“ თეორიის გავლენის ქვეშ მყოფი ნიკურაძე მუშაობდა ჩანაფიქრზე, რომელიც მიზნად ისახავდა, ქართველებს წამყვანი როლი ეთამაშათ ერთიან კავკასიურ კონფედერაციაში. როზენბერგმა ალექსანდრე ნიკურაძეს კონტინენტალური ევროპის კვლევის ინსტიტუტი შეუქმნა, სადაც ამ თემის კვლევას აწარმოებდნენ ჰაუსფოფერის თეორიის ჭრილში (ამ ინსტიტუტში მუშაობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც 1944 წელს გარდაიცვალა).

ალექსანდრე ნიკურაძე ფსევდონიმით „ა. ზანდერსი“ რამდენიმე გეოპოლიტიკური შინაარსის წიგნის ავტორია, მათ შორისაა „კავკასია“ (გამოიცა სამჯერ - 1938, 1942, 1944, მიუნჰენში), რომელშიც ის წარმოაჩენს საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიისათვის. მისი აზრით, საქართველოს, როგორც ცენტრალურსა და პოლიტიკურად ყველაზე უნარიან ქვეყანას კავკასიაში, იგივე როლო ენიჭებოდა, როგორც გერმანიას - ევროპაში. სწორედ ნიკურაძის გავლენას უნდა მივაწეროთ როზენბერგის პროქართული შეხედულებები - იგი ჯერ კიდევ 1927 წელს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, ხოლო 1941 წლის აპრილში წერდა, რომ „კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად უთუოდ წამყვანები იყვნენ და ამიტომ ქართველები, შეიძლება ითქვას, მასპინძელი ხალხი უნდა გახდეს

კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციისა, რომლებმაც შესაძლებელია გერმანიას სთხოვონ მათი კულტურული და ეროვნული არსებობის დაცვა“.

1943 წელს გამოვიდა ალექსანდრე ნიკურაძის წიგნი „გადაწყვეტილებათა მიღების ჟამი“, შემდეგ კი მისი ნაშრომები „ევროპის ფორმირებისათვის“, დიდი ბრიტანეთის მემკვიდრეობის შესახებ“, „აღმოსავლეთ ევროპა“, „ოცნებითგან ვიდრე საქმემდე“ და სხვა. ყველა ზემოჩამოთვლილი წიგნი ეძღვნება კონტინენტალური ევროპის კვლევას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს და არის გეოპოლიტიკური შინაარსის. მისი ნაშრომი „აღმოსავლეთ ევროპა“ არის ორნაწილიანი. პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მონღოლთა გამოჩენამდე. სწორედ ამ ნაწილშია შესული საკითხები კავკასიის შესახებ. რომელიც გადმოტანილია მისი წიგნიდან „კავკასია“ (ამ წიგნში კონცეპტუალურად პირველად კავკასია წარმოდგენილია ერთიან გეოგრაფიულ, ისტორიულ და პოლიტიკურ ერთეულად). ალექსანდრე ნიკურაძის თანამოაზრე იყო მისი ძმა ივანე (იოჰან) ნიკურაძე - მსოფლიოში აღიარებული ჰიდრავლიკოსი. იგი იმავდროულად მუშაობდა საბრძოლო თვითმფრინავებისა და ატომური ბომბის აეროდინამიკაზე. მან თავისი კვალი სამოქალაქო ინდუსტრიაშიც დატოვა, რადგან ივანე ნიკურაძის მოდელი „პორშეს“ ფირმამ მიიღო, ასევე ცნობილი მოდელი 911 მისი ნახაზებითაა გაკეთებული. 70-იან წლებში ევროპაში ცალლიანდაგიანი მატარებელი გამოვიდა, რომლის აეროდინამიკური თვალსაზრისი ივანე ნიკურაძის შემუშავებული გახლდათ. სავარაუდოა, ძმები ნიკურაძეების ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისადმი მინდობილი საქართველოს ეროვნული განძის გადარჩენის საქმეშიც. ექვთიმე იხსენებდა გერმანელი ოფიცრის ფორმაში გადაცმულ ორ ქართველს, რომლებიც პარიზში გერმანელი ფაშისტების შესვლისთანავე გამოეცხადდნენ და მას განძის დამალვაში მიეხმარნენ(დავით პაიჭაძე).

ალექსანდრე ნიკურაძის წიგნში „ოცნებიდგან ვიდრე საქმემდე“ (1951) მოცემულია ნათელი დებულებანი ევროინტეგრაციის იდეისათვის და ევროპის მომავლისათვის, ასევე საქართველოს ისტორიისათვის. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, სადაც გამოთქმული იყო ორიგინალური იდეები.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრეეიერის“ სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა კონგრესი, რომელსაც დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, შვეიციდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. კონგრესის საგანი იყო ევროპული საკითხების მეცნიერული

კვლევა-ძიება. სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის აზრი ცნება „ევროპოლოგიის“ შემოღების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ევროპულ სხვადასხვა მეცნიერული დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებლად ჩამოყალიბებას (კონგრესის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილიც).

სახელგანთქმულ მეცნიერს ალექსანდრე ნიკურაძეს ლექციების წასაკითხად იწვევდნენ პარიზის, ვაშინგტონის, ბერლინისა და მიუნჰენის უნივერსიტეტებში, ოქსფორდში გამართულ მეცნიერთა მსოფლიო კონგრესზე. 1956 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „არგონავტების მითი“. მაღალი დონით გამოირჩევა მისი ნაშრომები: „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“,„სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“,„დოქტორი ოტო ფონ ვეზენდოკი – როგორც ქართველოლოგი“. „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის სახით“, „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის (კავკასია შესაძლოა პირველ სამშობლოა სუმერთა ლითონის)“ და სხვა. ამრიგად, შიძლება ითქვას, რომ ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია დღეს ვიამაყოთ.

ხიდირბეგიშვილები

ხაშურის რეგიონში ერთ-ერთი მცირე სათავადოს ხიდირბეგიშვილები ქმნიან. არაერთ წყაროში დაფიქსირებულია სახიდირბეგიშვილო, რომელიც დღევანდელი სურამისა და ხაშურის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავდა. მათი რეზიდენცია სურამში უნდა ყოფილიყო, აქვე იყო მათი საგვარეულო სასაფლაო (კვირაცხოველის ეკლესია). ისინი ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ, როგორც სურამში, ასევე ხაშურში.

იოანე ბატონიშვილი ხიდირბეგიშვილების ხაშურში მოსვლას 1630 წლით ათარიღებს. იგი თავის გენეალოგიურ შრომაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ხიდირბეგიშვილების შესახებ აღნიშნავს: “ესენი არიან გვარით ამილახვარისა გვარისანი... ხიდირბეგის შვილობა მიიღეს ამით, რომელ გათათრდა ამათი წინაპარი ახალციხეს დროსა დაპყრობისა თურქთაგან, და უწოდეს სახელად ხიდირბეგ და ამის გამო მიიღეს მისთა შთამომავლობათა ხიდირბეგის შვილობა. ხოლო ამა ხიდირბეგის შვილნი მოვიდნენ ქართლსა შინა სურამის ხეობის ადგილს ხაშურსა შინა და მუნ მიუბოძა მეფემან ადგილი იგი წელსა 1630-სა. და ნათელ იღეს ამათ და იწოდენ გვარად ხიდირბეგის შვილებად, და არიან ზოგნი ამათნი გვარნი დაშთომილნი ახალციხეს ხიდირბეგის შვილებად, თათრებად და სხვანი ქართლში მამუკას შვილებად და სხვანი კვალად ხიდირბეგის შვილებადვე” (2,28).

სურათზე: (დაახლოებით 1925 წ): ვასილ ხიდირბეგიშვილი ოჯახით. მაღლა მარცხნივ დგას გენიალური მსახიობი სერგო ზაქარიაძე, რომელიც ვასილის ნათლული იყო და, ფაქტობრივად, ამ ოჯახში იზრდებოდა.

იოანე ბატონიშვილის მიერ ხიდირბეგიშვილების წარმომავლობის შესახებ ზემოაღნიშნულ ისტორიულ ტრადიციას იმეორებს და ადასტურებს ე.წ. „ზედგენისძის საჩივრის წიგნი“,რომლის მიხედვითაც ზედგენისძენი,“...რომელნიც დაშთენ მესხეთ, იგინი თუმცა ამილახვარად არ იხსენიებიან გუარით, გარნა არიან თავადნი, იმერეთს მესხებად წოდებულნი და აზნაურებად. ეს სახედვე ახალციხესა შინა არიან ამილახვრის გვარისანი და ხიდირბეგისა შვილებნიცა”.

ამრიგად, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ხიდირბეგიშვილები ზედგენიძეთა / შემდგომში ამილახვართა / გვარიდან გამოდიან. ზედგენიძეთა ერთი ნაწილი ახალციხის მხარეში ოსმალთა გაბატონების შემდეგ გათათრდენ. ზედგენიძეთა სწორედ ეს ნაწილი მოიხსენიებიან ხიდირბეგიშვილებად, რადგან იმავე ტრადიციის მიხედვით ზედგენიძეთა გვარის იმ წარმომადგენელს, რომელიც გათათრდა, სახელად ხიდირბეგი უწოდეს, რომლის სახელიდანაც შემდგომ წამოვიდა ხიდირბეგიშვილების გვარი.

იოანე ბატონიშვილის თანახმად,როგორც ზემოთ იყო აღნიშნული,ხიდირბეგიშვილები ქართლში, კერძოდ, ხაშურში, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანან. რომ, მართლაც, ამ პერიოდიდან უნდა იყვნენ მოსულები ხაშურში ხიდირბეგიშვილები, ამაზე მიგვანიშნებს ორი მომენტი. ერთი ის, რომ თეიმურაზ I-ის სახელთან დაკავშირებულ „სასარდლო წიგნში”, რომელიც როგორც ჩანს, მისი ქართლში მეფობის პერიოდში უნდა იყოს შედგენილი, ამილახორის სადროშოში ხიდირბეგიშვილები არ მოიხსენიებიან. “სასარდლო წიგნში” აღნიშნულია: “არის ბატონის ამილახორის დროშაზედ: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავნელიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მროველი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ხერხაულიანი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარეფისკოპოზი, რაც გორს ზედათ აწ სადედოფლო არის, აწ სუეტიცხოველისა და იერუსალიმისა ერთობილნი, ამირეჯიბიანი, თვალდამწვარიანი, დიასამიძე ელისბარ, როსტომ ქავთარაძე, ტატიანი და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა იაღუზიშვილი”.

ამრიგად, როცა ეს დოკუმენტი იწერებოდა, ხიდირბეგიშვილები ჯერ კიდევ არ არიან გადმოსულები ქართლში. ეს მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ის ცნობილი გვარი, რომლებიც ზემო ქართლის ამ რეგიონში /სურამი-ხაშური/ გვხვდება, თითქმის ყველაა დასახელებული დოკუმენტში /აბაშიძე, აბაზაძე და სხვა/. როგორც ჩანს, ხიდირბეგიშვილების ამილახორების სადროშოზე “მიწერა” შემდგომ ხდება, რაც დასტურდება სწორედ მომდევნო პერიოდის დოკუმენტებიდან.

ალექსანდრე ამილახვარი “გეორგიანულ ისტორიაში” აღნიშნავს, რომ “ზემო ქართლი შეადგენს სამფლობელოს ამილახვრებისა და თავადთა გვარებისა. სახელდობრ: 1. აბაშიძეებისა, 2. ფალავანდიშვილებისა, 3. ხერხეულიძეებისა, 4. დავითიშვილებისა, 5. ამირეჯიბებისა, 6. ავალიშვილებისა, 7. ხიდირბეგიშვილებისა, 8. ჩხეიძეებისა, 9. დიასამიძეებისა, 10. სიამარდიშვილებისა, 11. თაქთაქიშვილებისა, 12. შალიკაშვილებისა, 13. მაჩაბლებისა”.

ხიდირბეგიშვილებს იცნობს ი. ა. გულდენშტედტიც, რომელიც ქართლის თავადთა გვარების ჩამოთვლის დროს მოიხსენიებს მას.

XVII საუკუნეში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად მოიხსენიებიან ხიდირბეშვილები. დასტურდება ხიდირბეგიშვილების სათავადოც, ე.წ. “სახიდირბეგიშვილო”. ხიდირბეგიშვილებს მამულები გააჩნიათ ძირითადად ხაშურისა და სურამის შემოგარენში, აგრეთვე დღევანდელი ხაშურის რაიონის ზოგიერთ სოფელშიც.

ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე ხიდირბეგიშვილები საისტორიო დოკუმენტების თანახმად, XVII საუკუნის 30-იან წლებიდან ჩანან, რაც ერთგვარად განამტკიცებს იოანე ბატონიშვილის ცნობას ხიდირბეგიშვილებისათვის მეფე თეიმურაზის მიერ 1630 წელს ხაშურის ბოძების ფაქტს. კერძოდ, 1637 წლის როსტომ მეფის მიერ ზაქარია ავალიშვილისადმი მიცემული წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ხიდირბეგიშვილებს მამული აქვთ სოფელ სომანეთში. წყალობის

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხიდირბეგიშვილები

(დასასრული)

წიგნის მიხედვით, როსტომ მეფე ზაქარია ავალიშვილს უახლებს მისივე ნაქონი მამულის – სომანეთის– წყალობის სიგელს ხიდირბეგის მესხების გარდა. "...ხიდირბეგის მესხებს გარეთ" – ნათქვამია სიგელში. (5,141).

XVIII საუკუნის 10-20-იანი წლების ერთ-ერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია ხიდირბეგიშვილების „კაცების" გვარები. ეს ის "კაცები" უნდა იყვნენ, რომლებიც ხაშურში სახლობენ და ერთი ნაწილი რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარშიც გვხვდება. ეს „კაცები" არიან: თოფჩიაშვილი, ქიტიასშვილი, ქუზიასშვილი, აბიასშვილი, ტაკვია, ნინია, ქიმერიძე გელია, ქიმერიძე პეტრია, ბაბალია, მენაბდისშვილი, ფოცხვერია, მედორისშვილი, იაგუნდაშვილი. (16, 14827).

მამუკა აბაშიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის 1743 წლის 17 ივნისს მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმედ დასახელებულია ხიდირბეგიშვილი ხიდირბეგ (6,316).

1752 წელს გიორგი ხიდირბეგიშვილი თავის ძმებთან ქაიხოსროსთან და როსტომთან ერთად დიმიტრი ციციშვილს ჭარტლიულის ზვარს აძლევს სურამში: "ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ხიდირბეგიშვილმა გიორგიმ და ძმამან ჩემან... (აქ სახელი გამოტოვებულია) და ქაიხოსრომ და როსტომ თქვენ ბატონს ციციშვილს დიმიტრის და ძმისწულსა თქვენსა იოვანესა და შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისა, ასე რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ზვარი ჭარტლიური თავისის სანაპიროთი როგორითაც ძველთაგან სანაპირო და ღობე ქონდეს: აქეთ მურვანისშვილების მიწის მიდგმამდი, ქვეით მარგლითავს მურვანისშვილის მოცემულის მიწის (მიდგმამდი), (იქით) ბაიაშვილის მიწის მიდგმამდი, ზეით კიდევ მურვანისშვილის მიწის მიდგმამდე".

ხიდირბეგიშვილებს გარკვეული სამოხელეო თანამდებობაც სჭერიათ. სვიმონ ამირეჯიბის 1761 წლის 30 მარტის არზაში ყმის თაობაზე, ხიდირბეგიშვილი იასაულია. 1798 წლის 16 ივნისის ზაზა და დავით ამირეჯიბების ყმის საქმეზე განჩინებაში ავთანდილ ხიდირბეგიშვილია იასაული.

როგორც დოკუმენტებით დასტურდება, ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის XVIII საუკუნის 70-იან წლებში ურთიერთობა დაძაბულია. 1771 წლის დამდეგს, ერეკლე II-ის დავალებით, მისი კარის მდივანბეგები იესე მურვანიშვილს და როსტომ და ტეტია ხიდირბეგიშვილებს შორის სასისხლო საქმეს არჩევენ, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელთ მურვანიშვილის სასარგებლოდ დაედოთ "...მესამედი თეთრი ოქრო თუ ვერცხლი და ორი ნაწილი იარადი, პირუტყვი და ვეჯი / ნაღდი/".

ორი წლის შემდეგ, 1773 წლის დასაწყისში, ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის კვლავ გართულებულია ურთიერთობა. ამჯერად პირადად ერეკლე II ერევა საქმეში და ზემო ქართლის სადროშოს – საამილახოროს სარდალს რევაზ ამილახორს წერს: "... ხიდირბეგიშვილს მამუკას და როსტომს წიგნი მივწერეთ და დავიბარეთ, მურვანიშვილები სამართალში უჩივიან და ის წიგნი ერთის კაცის ხელით გაუგზავნეთ, რომ კარზედ ჩამოვიდნენ აპრილის 9-ს. რომელიც კაცი გაგზავნო, იასაულათ დაადგეს და ჩქარა გამოგზავნოს".

შოთა (შაშა) ხიდირბეგიშვილი, მისი მეუღლე დარეჯან ბაგრატიონი (მარცხნივ) და დედა თამარი (დაახლოებით 1870 წელი)

სხვათა შორის, ზემოაღნიშნულ დაძაბულ ურთიერთობაზე მეტყველებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მამუკა ხიდირბეგიშვილის წერილს ლუარსაბ მურვანიშვილისადმი. მართალია, წერილი უთარიღოა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იმავე პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ხიდირბეგიშვილსა და მურვანიშვილებს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ამას ადასტურებს წერილის ტექსტი, რომელიც ეხება ოსიაურელ კოჩაძეს. იგი ხიდირბეგიშვილის მამულიდან არის გაპარული და მისი საქმე უნდა გაარჩიოს ლუარსაბ მურვანიშვილმა. მამუკა ხიდირბეგიშვილი აფრთხილებს ლუარსაბ მურვანიშვილს, რომ საქმე სამართლიანად გადაწყვიტოს. წერილში ნათქვამია: "...ასე რიგით დაიჭირე საქმე, რომ მე და შენ სამდურავი არ მოგვიხდეს, თორემ ქვეყანამ იცის, რომ ჩვენშიდ მტრობა არის და სხვაც არავინ დაიჯერებს შენს სიმართლეს".

ხიდირბეგიშვილებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალი. ამ გვარის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ლეკებთან ერთად არბევდნენ ზემო ქართლს. არაერთი დოკუმენტით დასტურდება მათი ურთიერთობა ახალციხის საფაშოსთან. ასე მაგალითად, 1772 წლის 16 ნოემბერს, ახალციხის ფაშის–სულეიმანის წაქეზებით ქართლს შემოსული ლეკის ჯარი როსტომ ხიდირბეგიშვილის წინამძღოლობით მიადგნენ ცხინვალს და "...რაც ციხის გარეთ ხალხი იყო, სულ დაატყვევეს ექვსას სულამდე". მათვე აიღეს და აიკლეს ოსიაურის ციხეც. 1785 წელს სულეიმან ფაშას მიერ ქართლში დასაზვერად გამოგზავნილ ხასან ხანთაძეს ხაშურიდან ხიდირბეგიშვილის მოსამსახურე მეგზურობს გორისაკენ და სხვა.

ხიდირბეგიშვილის გვარის სხვადასხვა წარმომადგენელი ხშირად გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში.

1775 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ გიორგი ლომოურის მოწმობის წიგნში ლუარსაბ მურვანიშვილთან ერთად მოიხსენება როსტომ ხიდირბეგიშვილი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მესხეთიდან ქართლში გლეხების გადმოყვანაში.

1783 წლის 14 მარტის განჩინებაში ლუარსაბ მურვანიშვილსა და სურამის მამასახლისის დავაზე მოიხსენება მამუკა ხიდირბეგიშვილი(11, 207)

დათუა ბადრიაშვილის 1783 წლის 13 ივნისის არზაში მამულის თაობაზე ჩანს, რომ ხიდირბეგიშვილებს ბეკამში ჰყავთ ყმა /ბადრიაშვილი/.

ბერუა ქურდაძის 1785 წლის 28 ნოემბერის არზის მიხედვით, იგი ხიდირბეგიშვილებზეა სურამში "დაგირავებული" "...ამიღეს და ხიდირბეგიშვილებზე დამაგირავეს" – ნათქვამია დოკუმენტში.

ბეცია თარხნიშვილისა და ღვალაძის მამულის საქმეზე 1793 წლის 23 მარტის განჩინებაში მოიხსენიება მამუკა ხიდირბეგიშვილი. იმავე საქმეზე სხვა პირებთან ერთად, 1793 წლის 18 აგვისტოს განჩინებაში იულონ ბატონიშვილი მამუკა ხიდირბეგიშვილს ავალებს სადავო საკითხის გადაწყვეტას.

1793 წლის 19 სექტემბრის გლახა ფალავანიშვილის ყმის ლუარსაბ ნაგლაძის საქმის განჩინებაში იოანე ხიდირბეგიშვილია მოხსენებული.

თარხან გიორგისა და მეითარ სოლომონის მამულის საქმეზე 1797 წლის 5 მარტის განჩინებაში კვლავ მამუკა ხიდირბეგიშვილი მოიხსენება. იგივე მამუკა ხიდირბეგიშვილი მოიხსენება იმავე წლის 20 დეკემბრის ყორღანაშვილების ყმების საქმის განჩინებაში.

გიორგი XII-ის მიერ 1799 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებით „...ამასთან /ე.ი. მამუკა ხიდირბეგიშვილთან-თ.ლ./ და ამის ყმასთან საქმე არავისა აქვს, არც ჩვენს ძმებსა და არც ჩვენს შვილებსა, ყველამ უნდა იცოდნენ. უჩვენოთ ვერც რას შეაწერენ და ვერც არასა სთხოვენ, რაც სათხოვარი იქნება, ჩვენ სახელდობრ შევაწერთ და გამოვართმევ, უჩვენოთ ამასთან და ამის ყმასთან საქმე არავის აქვს და ვერც არას შეაწერთ და ვერც არას გამოართმევთ, ყველამ ასე იცოდეს, რომ ეს სამეფო თავადი არის...".

ზაალ დავითაშვილისა და შანშე რამაზაშვილის მამულის სქმეზე 1800 წლის 13 ივნისის განჩინებაში "შეგდებულ მოფიცრებში" დასახელებულია ქაიხოსრო ხიდირბეგიშვილი.

1800 წლის 4 ივლისის ნინია ხიდირბეგიშვილის ყმების საქმეზე განჩინებით დასტურდება, რომ ხიდირბეგიშვილებს სურამში ებრაელებიც ჰყავთ ყმებად /ისაკა, აბრამა და მათი ძმები/.

ხიდირბეგიშვილებს ზემო ქართლის სხვა თავადებთან ერთად გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ სამეფო კარის წინაშე ლაშქარში სამსახურისა და სურსათის "გამოღების" თვალსაზრისით. 1783 წლის 14 ივლისის ზემო ქართლის საქვეყნო ხარჯის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ხიდირბეგიშვილების ყმებს უნდა გაეღოთ "...თეთრი თვრამეტი მინალთუნი" და "... პურის კოდი–თვრამეტი". 1784 წლის 10 ივნისის ერეკლე II-ის ბრძანებით რუსის ჯარისათვის სურსათის გამოღების თაობაზე, ხიდირბეგიშვილის ყმებს უნდა გაეღოთ ფქვილი "...ხარვალი ორი, კოდი ზ შვიდი".

ჯარის დაბარების შესახებ, ერეკლე II-ის 1787 წლის 26 დეკემბრის ბრძანების მიხედვით, მამუკა ხიდირბეგიშვილს ლაშქარში უნდა გაეყვანა "აზნაურიშვილი ერთი, გლეხიც ერთი"(15,152). იმავე წლით დათარიღებულ ჯარში გამსვლელთა ნუსხაში კვლავ მოიხსენება "ხიდირბეგიშვილი მამუკა, ერთი აზნაურიშვილით და ერთი გლეხით". 1789 წლის 19 თებერვლის ერეკლე II-ის ბრძანებით მამუკა ხიდირბეგიშვილი ყარაბაღში გასაგზავნ ჯარში სამი კაცით უნდა გასულიყო.



მარცხნივ გიორგი ხიდირბეგიშვილი (პოლკოვნიკი), რომელიც ხაშურში საკათედრო ტაძარშია დაკრძალული.

გეორგიევსკის ტრაქტატის /1783წ./ დანართში–"ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში", –შეტანილია ხიდირბეგიშვილის გვარიც. აქვე მოიხსენებიან მისი აზნაურების - ნათისშვილის და ოღძაელის გვარები.

ხიდირბეგიშვილის აზნაურები–ნათისშვილები და ოღძაელებიც არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. იოანე ბატონიშვილი ნათისშვილის შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის: "ამათი წინაპარი მოვიდა სტამბოლიდგან ბერძენთა გვარი, რომელსა ეწოდა ნათან და დაესახლა ახალციხეს და იყო მუნ აზნაურად მიღებულ, და ოდეს ათაბაგი შეიქმნა მაჰმადიანი, ესენიც აიყარენ და შთამოყვნენ ხიდირბეგის შვილებს ქართლშია და დაეშენენ მუნ და არიან ცნობილ მცირე აზნაურად მეფისაგან დროსავე ლუარსაბისა მეფისა 1612 წ. და მეფის ირაკლის დროსაც იყო გლახა ნათისშვილი მიჩნეული მეცნიერებისა გამო....

ნათიშვილი რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში დაფიქსირებულია გორათში.

ოღძალების გვარის შესახებ, იოანე ბატონიშვილი შემდეგს აღნიშნავს: "ამათნი წინაპარნი არიან მკვიდრნი ადგილის ოღთისა და მის გამო მიიღეს გვარადცა ოღთაელობა და არიან მცირე აზნაურნი, ცნობილნი დროსვე მეფისა თეიმურაზისასა..." მეორე ვარიანტით: "არის სურამის ხეობიდანვე ძველად ოძელი სოფლიდამ და ადგილისა გამო გაუვარდა ოღძელი, ესენი იყვნენ დროსა თეიმურაზ მეფისასა 1640 წელს".

სურამის ხეობაში არ ფიქსირდება სოფელი ოღთა ან ოძელი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ოღძელის გვარი, როგორც ამას იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს. აქ იგი, ალბათ, სოფელ ოძისს გულისხმობს, რომელსაც იგი სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს აფიქსირებს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ სოფელ ოძისში აზნაური აბაზაძეები მკვიდრობდნენ.

თამაზ ლაცაბიძე

იწყება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება

უკანასკნელ წლებში, ქვეყნის ხელისუფლების მცდელობით, ბევრი რამ კეთდება რეგიონების ეკონომიკური წინსვლისთვის. სოფლების აღორძინება მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამის ყველაზე ნათელი დადასტურება სოფლების მხარდაჭერის პროგრამაა, რომლის განსახორციელებლად მილიონობით ლარია გამოყოფილი.

როგორც ჩვენთან საუბარში ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა გიორგი პაპიაშვილმა აღნიშნა, წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა რაიონის ყველა 70-მდე სოფელს შეეხო. ამ პროგრამის ფარგლებში 800 ათასზე მეტი ლარია გამოყოფილი, რაც წინა წელს რამდენიმე ათეული ათასი ლარით აღემატება. დღეისათვის უკვე 40 ტენდერია დამთავრებული და სამუშაოები ამ კვირაშივე დაიწყება. დარჩენილი 25 ტენდერიც დასრულების პირასაა და მისი დასრულების შემდეგ გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებები გაფორმდება. სამუშაოების დამთავრება პირველ 40 ტენდერზე აგვისტოშია ნავარაუდევი. მთლიანად კი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაწეული სამუშაოები შემოდგომაზე დასრულდება...

№	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა 856827.00 (ლარი)	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება
1	შიდა ქართლი	ხაშური		სურამი	დაბა სურამი	სანიაღვრე არხების მოწყობა	140000
2	შიდა ქართლი	ხაშური			ურთხვა	პატარა წყაროსთან სკვერის მოწყობა	2000
3	შიდა ქართლი	ხაშური			ურთხვა	გზის რეაბილიტაცია	6000
4	შიდა ქართლი	ხაშური			ბიჯნისი	სტადიონის შემოღობვა	9500
5	შიდა ქართლი	ხაშური			ზეკეტა	სკვერის მოწყობა	8000
6	შიდა ქართლი	ხაშური			დიდი ბეკამი	სანიაღვრე არხების მოწყობა	7427
7	შიდა ქართლი	ხაშური			პატარა ბეკამი	სანიაღვრე არხების მოწყობა	9700
8	შიდა ქართლი	ხაშური		ხვისი	ხვისი	წყლის სისტემის მოწყობა	23000
9	შიდა ქართლი	ხაშური			მიწიბი	საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება	9500
10	შიდა ქართლი	ხაშური			კრისხევი	წყლის ქსელი მშენებლობა	5000
11	შიდა ქართლი	ხაშური		წრომი	ახალშენი; წრომი, ნადარბაზევი,იმერლი ანთკარი, დიდი ხავლეთი,დიდი ყელეთი, პატარა ყელეთი	სოფელ წრომის ალტერნატიული ბაგა ბაღის შენობა ნაგებობის რეაბილიტაცია	39900
	შიდა ქართლი	ხაშური					
	შიდა ქართლი	ხაშური					
	შიდა ქართლი	ხაშური					
	შიდა ქართლი	ხაშური					
	შიდა ქართლი	ხაშური					
	შიდა ქართლი	ხაშური					
12	შიდა ქართლი	ხაშური		ხალები	დიდი ხალები	სანიაღვრე არხების მოწყობა	4300
13	შიდა ქართლი	ხაშური			პატარა ხალები	სანიაღვრე არხების მოწყობა	4000
14	შიდა ქართლი	ხაშური			ღართა	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და წყლის ქსელის მოწყობა	4300
15	შიდა ქართლი	ხაშური			სარტყელა	ახალი სათავე ნაგებობის და წყლის სისტემის მოწყობა	6400
16	შიდა ქართლი	ხაშური			ღვრია წყალი	არტეზიული ჭის მოწყობა და არსებული ჭის რეაბილიტაცია	4300
17	შიდა ქართლი	ხაშური			ალექსანდრეს წყარო	სანიაღვრე არხების მოწყობა	4000
18	შიდა ქართლი	ხაშური		ქვიშხეთი	ქვიშხეთი	სანიაღვრე არხების მოწყობა	20000
19	შიდა ქართლი	ხაშური			ქვიშხეთი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	30000
20	შიდა ქართლი	ხაშური			მონასტერი	გარე განათების მოწყობა	3000
21	შიდა ქართლი	ხაშური			მონასტერი	გზის რეაბილიტაცია	2000
22	შიდა ქართლი	ხაშური			ბულბულისციხე	გარე განათების მოწყობა	2000
23	შიდა ქართლი	ხაშური			ბულბულისციხე	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2000
24	შიდა ქართლი	ხაშური			ბეღლითი	სანიაღვრე არხების მოწყობა	4000
25	შიდა ქართლი	ხაშური			სათივე	წყლის სისტემის მოწყობა	6000
26	შიდა ქართლი	ხაშური			სარმანიშვილისკარი	გზის რეაბილიტაცია (სავალი ნაწილის გამაგრება)	4000
27	შიდა ქართლი	ხაშური			ტაშისკარი	წყლის სისტემის მოწყობა	10000
28	შიდა ქართლი	ხაშური			ტეზერი	სანიაღვრე არხების მოწყობა	15000
29	შიდა ქართლი	ხაშური			ყიფიანთუბანი	სანიაღვრე არხების მოწყობა	3000
30	შიდა ქართლი	ხაშური			სავანისუბანი	მინი სტადიონის მოწყობა	5000
31	შიდა ქართლი	ხაშური			რუსაანთუბანი	სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა	4000
32	შიდა ქართლი	ხაშური		ცხრამუხა	ცხრამუხა	სკვერის კეთილმოწყობა	37000
33	შიდა ქართლი	ხაშური			ცხრამუხა	ბიბლიოთეკის მშენებლობა	10000
34	შიდა ქართლი	ხაშური			თაგვეთი	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და დაზიანებული მაგისტრალის რეაბილიტაცია	4900
35	შიდა ქართლი	ხაშური			კოდისწყარო	გზის რეაბილიტაცია	2000
36	შიდა ქართლი	ხაშური			რბონა	გზის რეაბილიტაცია	3000
37	შიდა ქართლი	ხაშური			დამჩხეული	გზის რეაბილიტაცია	4100
38	შიდა ქართლი	ხაშური			ქაშვეთი	გარე განათების მოწყობა	2000
39	შიდა ქართლი	ხაშური		ოსიაური	ზემო ოსიაური	სასაფლაოს შემოღობვა და შესასვლელი კარების მოწყობა	28000
40	შიდა ქართლი	ხაშური			ქვემო ოსიაური; (ღუდა)	ბაღის შემოღობვა და შესასვლელის მოწყობა	21000
41	შიდა ქართლი	ხაშური			ახალსოფელი	სასაფლაოს გალავნის მშენებლობა	5000
42	შიდა ქართლი	ხაშური		გომი	გომი	სოფლის კულტურის სუბიექტის ძველი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, კულტურულ საინფორმაციო ცენტრის	28000
43	შიდა ქართლი	ხაშური			ხიდი ყური	სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და ქსელის მოწყობა	4900
44	შიდა ქართლი	ხაშური			ვაყა	გარე განათების მოწყობა	10000
45	შიდა ქართლი	ხაშური			ვაყა	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	16400
46	შიდა ქართლი	ხაშური			ქვემო აძვისი	სანიაღვრე არხების მოწყობა	5400
47	შიდა ქართლი	ხაშური			დიდი სატივე; პატარა სატივე	საბავშვო ბაღის მოწყობა	13800
48	შიდა ქართლი	ხაშური			აგარები	ატრაქციონების შესყიდვა	5800
49	შიდა ქართლი	ხაშური		ფლევი	დიდი ფლევი	წყლის ქსელის/სისტემის მოწყობა	20000
50	შიდა ქართლი	ხაშური			პატარა ფლევი	წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	8700
51	შიდა ქართლი	ხაშური			ნაცარგორა	წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია-შემოღობვა	8300
52	შიდა ქართლი	ხაშური			ტკოცა	გარე განათების მოწყობა	16000
53	შიდა ქართლი	ხაშური		ალი	ალი	სანიაღვრე არხების მოწყობა	35000
54	შიდა ქართლი	ხაშური			ბრილი	გარე განათების მოწყობა	10600
55	შიდა ქართლი	ხაშური			ახალუბანი	გარე განათების მოწყობა	5000
56	შიდა ქართლი	ხაშური			დუმაცხოვი	გარე განათების მოწყობა	6000
57	შიდა ქართლი	ხაშური			ზემო აძვისი	გარე განათების მოწყობა	5600
58	შიდა ქართლი	ხაშური			კლდისწყარო	გარე განათების მოწყობა	4000
59	შიდა ქართლი	ხაშური			მცხეთიოკვარი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	8000
60	შიდა ქართლი	ხაშური			უწლევი	საუბნო სასმელი წყაროს კეთილმოწყობა	2200
61	შიდა ქართლი	ხაშური			ნაბახტევი	გარე განათების მოწყობა	18000
62	შიდა ქართლი	ხაშური			ქინძათი	გარე განათების მოწყობა	8000
63	შიდა ქართლი	ხაშური			ქინძათი	სოფლის სასაფლაოს შემოღობვა	8500
64	შიდა ქართლი	ხაშური		ნაღვლი	ნაღვლი, (ყობი)	უბნებს შორის დამაკავშირებელი ბეტონის გზის გაკეთება	21000
65	შიდა ქართლი	ხაშური			კლდისწყარო	სასმელი წყაროების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	6000
66	შიდა ქართლი	ხაშური			ქვემო ბროლოსანი	ატრაქციონების შეძენა-დამონტაჟება	6300
67	შიდა ქართლი	ხაშური			ზემო ბროლოსანი	გარე განათების მოწყობა	5500
68	შიდა ქართლი	ხაშური			ჩორჩანა	მოსაცდელის აშენება	4900
69	შიდა ქართლი	ხაშური			ნეღვერი	წყაროს სათავე ნაგებობის მოწყობა და წყლის ქსელის მოწობა	4600
70	შიდა ქართლი	ხაშური			ტიტვინის წყარო	სოფლის მისასვლელი გზის კეთილმოწყობა	4100
71	შიდა ქართლი	ხაშური		ცოცხნარა	ცოცხნარა	კულტურული ცენტრის მოწყობა	9300
72	შიდა ქართლი	ხაშური			ქემფერი	წყაროს სათავე ნაგებობის შეკეთება	6000
73	შიდა ქართლი	ხაშური			ქემფერი	სტადიონის შემოღობვა	3000
74	შიდა ქართლი	ხაშური			ქემფერი	საბავშვო მოედნის მოწყობა	4000
75	შიდა ქართლი	ხაშური			ნაბლოვანა	სარიტუალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელება	5100
76	შიდა ქართლი	ხაშური			ცედანი	წყლის სისტემის მოწყობა	5300
77	შიდა ქართლი	ხაშური			ოძისი	წყლის სისტემის მოწყობა	4500
78	შიდა ქართლი	ხაშური			ციოწყარო	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	4700
						სულ:	***856827,00***

არტ-გენი კვლავ გვიხმობს

სურამი უკვე მეორე წელია ფოლკლორისა და თვითშემოქმედების ფესტივალს „არტ-გენს" მასპინძლობს. ფესტივალის მიზანია ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია, უცნობი ნამუშევრების შეკრება და საზოგადოებისათვის გაცნობა. 1 ივლისს, სურამში, ბაიანთხევის ფიჭვნარში მოეწყობა

კონცერტები საქართველოს სხვადასვა კუთხეებიდან მოწვეული პოპულარული, მუსიკალური შემსრულებლების მონაწილეობით, ასევე ხალხური რეწვისა(თექა, მინანქარი, ჭედური ხელოვნება, ხეზე კვეთა) და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-გაყიდვა. შეუდაებელი სანახაობა და უდიდესი სიამოვნება ელოდება სტუმრებსს წლევანდელ არტ-გენზეც. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური გიწვევთ ამ საოცარი დღის აღსანიშნავად. თქვენ წინ გელოდებათ ხალხური ფოლკლორით გაჟღენთილი გარემო და შთაბეჭდილებებით დახუნძლული, გამორჩეული დღე.

ხაშურის VI საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი - კოკა-კოლას თასის გამარჯვებული

ქალთა ფეხბურთში, ქვეყნის მასშტაბით, ხაშური რომ ერთ-ერთ ცენტრად ითვლება, არახალია. წლებია, შესანიშნავი პიროვნების და მწვრთნელის **თემურ კობერიძის** მიერ დამოძღვრილი გოგონები ყველა დონის შეჯიბრზე ფავორიტებად ითვლებიან და ამართლებენ კიდეც ამ სტატუსს. ახლახანს კოკა-კოლას თასზე, რომელშიც შიდა ქართლის სკოლების გოგონათა გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, ხაშურის VI საჯარო სკოლის გუნდმა ჯგუფში ჯერ გორის II საჯარო სკოლის გუნდს სძლია (3:1), ამის შემდეგ ურბნისელი გოგონები დატოვა მშრალზე (5:)), ფინალში კი შანსი არ დაუტოვა გორის X სკოლის გუნდს (4:0).

პარალელურად, ეროვნულ ჩემპიონატში, შესანიშნავად ასპარეზობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ნაკრები. გოგონათა გუნდი მეორე ადგილზეა (35-ე სკოლა - 3:2; ლანჩხუთი –3:1; აჭაქრა –8:1.). მათ მხოლოდ ქუთაისის უძლიერეს გუნდთან დათმეს შეხვედრა. თუმცა, ჩემპიონატი გრძელდება და ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ აქვს შანსი ქვეყნის ჩემპიონი გახდეს.

სურათზე: ხაშურის VI საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი: (პირველ რიგში) მარიამ ყაზახაშვილი, მარიამ კულუმბეგოვი, მარი დოიჯაშვილი, ნანიკო მანჩხაშვილი; (მეორე რიგში) ნინო ხაჩიძე, მარი ლომიძე, ნინო გელაშვილი, ანი ლომიძე, ანა გელაშვილი, თემურ კობერიძე.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მხატვრებს უმასპინძლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, საუკეთესო მხატვრის გამოსავლენად, გამოფენა–კონკურსი მოეწყო.

რეზო კოშკაძის ორგანიზატორობით გამართული შეხვედრა საზოგადოებას ერთი იდეის–ხაშურში მხატვართა კავშირის დაარსების გარშემო აერთიანებდა.

ღონისძიებაში რვა კონკურსანტი მონაწილეობდა:

რეზო კოშკაძე, ხათუნა ჩიტაძე, ირაკლი ლიჩელი, გიგა ბლიაძე, გიორგი კიკაძე, მიშა ამანათაშვილი, თემურ ბარბაქაძე და გია კუპრაძე. შეკრებილმა საზოგადოებამ, "ხაშურის საუკეთესო მხატვარად"–ახალგაზრდა ხატმწერი–ირაკლი ლიჩელი დაასახელა.

შეხვედრის დასასრულს, სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელმა–თამაზ ლაცაბიძემ, კონკურსანტებს დიპლომები, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურულ–ისტორიული მემკვიდრეობისადმი გამოჩენილი მზრუნველობისა და სამუზეუმო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს–გიორგი გურასპაშვილს "მუზეუმის მეგობრის" საპატიო სიგელი გადასცა.

გამოფენა, ათი დღის განმავლობაში გაგრძელდება და დათვალიერების შესაძლებლობა ყველა მსურველს ექნება.

„ბიგ-რაუნდში" მე-8 საჯარო სკოლა გაჩემპიონდა

18 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით და ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით, შედგა ინტელექტუალური თამაშის "ბიგ-რაუნდი" ფინალური შეხვედრა. შეხვედრა გაიმართა ქ. ქობულეთში. ერთმანეთს დაუპირისპირდა ფინალში გადასული- №1, №7 და №8 საჯარო სკოლების გუნდები. პირველობისთვის ბრძოლა საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. საბოლოო შედეგი კი ასე დაფიქსირდა: №8 საჯარო სკოლა - 11 ქულა, №1 საჯარო სკოლა - 8 ქულა და №7 საჯარო სკოლა - 7 ქულა.

შეხვედრის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები გადაეცა სამივე ფინალისტ გუნდს, გამარჯვებული №8 საჯარო სკოლის გუნდის თითოეულ წევრს კი, დამატებით მხატვრული ლიტერატურა.

ბავშვებისათვის გაფერადებული დღე

კიდევ ერთი დღე შეიღება ათასფრად ბავშვებისათვის. 20 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვობიბლიოთეკაში, გომის საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებლის ნანი ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა პატარა კონცერტისახელწოდებით „ერთად ვიმღეროთ ნუცასთან ერთად". მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ნუცა ჩიტაძემ თავისი შექმნილი ჩანახატებით და ლექსებით ყველა გააოცა. ნუცასთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სხვა სკოლის მოსწავლეებმაც, რომელთა სიმღერებმაც ორმაგად გაახალისეს დაატკბეს გარემო.

მელიანდაგეებმა პირველობა არავის დაუთმეს

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი ტრადიციულად ყოველ წელს მართავს ტურნირს რკინიგზელ ფეხბურთელებს შორის. გამონაკლისი არც წელს ყოფილა და ამ დღეებში თასისათვის ბრძოლაში ხაშურმა რეგიონალ ტურნირს უმასპინძლა. ტურნირი ძალზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა და მასში პირველობა არავის დაუთმო ხაშურის სალიანდაგო სამმართველოს გუნდმა. მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად, სავაგონო დეპოს და ელექტრომომარაგების სამმართველოს გუნდებს ერგოთ. გამარჯვებულები საპატიო თასით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. იმედია, გამარჯვებული გუნდი არც რესპუბლიკური ტურნირებში შეირცხვენს თავს და იქიდანაც თასით ხელში დაგვიბრუნდება.

იმედა ლაცაბიძე

რკინიგზელთა პროფკავშირის ხაშურის სალიანდაგო სამმართველოს პირველადი ორგანიზაციის თავჯდომარე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.